შპს „ნიუ პოინტ“

ქ.თბილისში, პეკინის გამზირი #15

(01.10.13.026.027) არსებული შენობის

სადემონტაჟო სამუშაოთა პროექტი

შპს „ნიუ პოინტ“-ს დირექტორი გ.კირკიტაძე

სადემონტაჟო პროექტის ხელმძღვანელი-სპეციალისტი ზ.თედიაშვილი

ქ.თბილისი 2018 წელი

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

ქ.თბილისი პეკინის გამზირი #15 -ის არსებული ერთ სართულიანი შენობის დაშლაზე

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის შედგენას საფუძვლად დაედო აზომვითი ნახაზი, საკადასტრო რუკა და ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან; ასევე ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება და შესწავლა.

ობიექტი მდებარეობს ქ.თბილისში. საბურთალოს რაიონი. პეკინის გამზირი #15. ტერიტორია შემოსაძღვრული ღობით არ არის. ტერიტორიის თითქმის მთლიან ნაწილზე განთავსებულია ერთ სართულიანი შერეული კონსტრუქციის ნაგებობა, რომელშიც ფუნქციონირებს ტანსაცმლის ბრენდული მაღაზია. ნაგებობის ვიზუალური დათვალიერების შედეგად თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მისი ნაწილი სრულად ამორტიზირებულია. ძირითადი ნაგებობა 90-იან წლებშია აგებული და მას სახელოსნოს ფუნქცია ჰქონდა, დროთა განმავლობაში მოხდა მიშენებების მოწყობა და ამჟამინდელმა მეპატრონემ ის მთლიანი სახურავით გადაფარა. მიშენებათა ადგილზე გაჩენილია ვერტიკალური ბზარები, ზღუდარების არ არსებობის გამო კი ძველი ღიობების ადგილას მუდმივად გაფართოებადი ჰორიზონტალურად გადაადგილებადი ბზარები. კედლების მუდმივი ჯდენის გამო დეფორმაციას განიცდის სახურავიც.

სადემონტაჟოა ერთ სართულიანი შენობა. საერთო სადემონტაჟო ნაგებობის ფართობი შეადგენს 310,0 მ^2-ს, და მოცულობით 1054,0 მ^3-ს. ტერიტორიაზე ხე ნარგავები არ არის. როგორც უკვე ავღნიშნეთ შენობა ქალაქის ცენტრალურ ზონაში მდებარეობს, მასთან სამანქანო მისასვლელი გზა პეკინის გამზირის მხრიდანაა, ასევე აქვს მსუბუქი მანქანის მისადგომი ადგილი სამეზობლო შიდა ეზოს მხრიდან, რაც წარმოდეგენილია სამუშაოთა წარმართვისა და ორგანიზაციის გეგმაზე. არსებული გარემოება აადვილებს ტერიტორიიდან ნაგვისა და მასალის გატანას. დასაშლელ სამუშაოთა წარმართვა სასურველია ხელით, ხოლო სადემონტაჟო სამუშაოების წარმართვისას აუცილებელი იქნება გარკვეული ტიპის ხელსაწყოების გამოყენება- მონოლითური საძირკვლისათვის სანგრევი ჩაქუჩი და ასე შემდეგ. დაშლილი სამშენებლო მასალებისა და ნაგვის დასატვირთად გამოყენებული იქნეს თვითმცლელი ავტოტრანსპორტი.

უბანი ხასიათდება შემდეგი კლიმატური და სეისმური ფაქტორებით: ქარის დაწოლა - 45 კვ.მ/მ^2; თოვლის წონა - 50 კგ/მ^2, სეისმურობა - 8 ბალი.

სამუშაოთა საორინტაციო ღირებულება დადგინდეს ურთიერთ შეთანხმებით. სამუშაოთა წარმოების პროცესში მოსალოდნელია სამუშაოთა რაოდენობისა და ღირებულების კორექტირება. აღნიშნულის გამო ანგარიშსწორება დამკვეთსა და მეიჯარეს შორის რეკომენდირებულია წარმოებდეს ფაქტიური დანახარჯების მიხედვით, ურთიერთ შეთანხმებით.

სადემონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულდეს წინასწარ შემუშავებული ტექნოლოგიით და მეთოდებით, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს შესრულების ხარისხსა და მშენებლობის ვადას. დადგენილი წესით მომუშავე პერსონალს ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი უსაფრთხოებისა წესების დაცვაზე, გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერები და ხელმოწერები სპეციალურ ჟურნალში. სადემონტაჟო საქმიანობაზე პასუხისმგებელმა კომპანიამ უზრუნველყოს უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციონირება, პერსონალის დაცვა უსაფრთხოების ინდივიდუალური საშუალებებით (დამცავი ქუდებით, უსაფრთხოების ღვედებით, ხელთათმანებით, სპეცტანსაცმლით და სხვა). დასაშლელი სამუშაოების წარმოების პერიოდში დროებითი ღობის ფარგლებში უნდა მოხდეს გადარჩეული მასალა ნაკეთობის (აგურის, ლითონის მასალის და სხვა) დაშტაბელება, სამშენებლო ნარჩენებისა და ნაგვის გატანა - მათი ნუსხა მოყვანილია ცხრილში. სამუშაოთა წარმოების პროცესში მიმდებარე ტერიტორია მაქსიმალურად უნდა იქნას დაცული სამშენებლო მტვრის გაბნევისაგან რა მიზეზითაც უნდა წარმოებდეს მტვერდამჭერი ბადეების გამოყენება.

სამუშაოთა დაწყებამდე მშენებელმა (ამ შემთხვევაში დემონტაჟზე პასუხისმგებელი კომპანია) უნდა წარმოადგინოს გარემოსდაცვითი, შრომის უსაფრთხოებისა და ინციდენტზე რეაგირების გეგმა, მოედანი აღჭურვილი უნდა იყოს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საშუალებებით.

- დასაშლელი ობიექტის დასახელება

ძირიტადი ნაგებობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, საძირკველი ლენტური ტიპისაა და მოწყობილია მონოლითური ბეტონისაგან. სტრუქტურულად მზიდკედლიანია. მინაშენი ფართების კედლების შევსება ხდება აგურით და ბლოკით. ძირითადი ფასადი გახსნილია გამზირის მხარეს ვიტრაჟული ტიპის ღიობებით. სახურავი შერეული ტიპის

კონსტრუქციისა. შეადგენს ხის სანივნივე სისტემასაც და მონოლითურ ფილასაც, რომლებიც დახურულია თუნუქით.

დაშლის დაწყებისას აუცილებელია მოეწყოს ხის ღობე სამუშაოთა წარმართვისა და ორგანიზაციის გენგემის მიხედვით.

- მითითებები სამუშაოთა წარმოების თაობაზე

როგორც აღინიშნა დასაშლელი სამუშაოების წარმოება უნდა მოხდეს ხელით. სამუშაოები იწყება კარკასის მოხსნით. საძირკველი ლენტური ტიპისაა და მოწყობილია ბეტონისაგან, მის დასაშლელად საჭირო გახდება სანგრევი ჩაქუჩების გამოყენება. გამოთავისუფლებული არმატურა გადაეწყოს ეზოში მიმდებარე ტერიტორიაზე ჩასაბარებლად. ლითონის ელემენტები ჩაიჭრას ელექტრო ან აიროვანი აპარატებით, ქვედა იარუსებზე 5 მეტრის რადიუსში გართობები უნდა გავანთავისუფლოთ წვადი მასალებისაგან, ხოლო 10 მეტრის რადიუსში ასაფეთქებელი (მაგალითად ჟანგბადის ბალონები) მასალებისაგან.

მონგრეული ბეტონის კოშტებს თუ მიწა ან ნაგავი არ მიყვება, შესაძლებელი გახდება მისი ხელმეორედ გამოყენება მონოლითურ ბეტონში. მოხსნილი მასალები გასუფთავდეს, გაიწმინდოს, დახარისხდეს და შტაბელებად დაეწყოს დროებითი ღობის ფარგლებში.

- დაშლის ხანგრძლივობის შესახებ

შენობის დაშლა დამკვეთის მიერ განსაზღვრულია 3 თვის ვადაში. გეგმიურად დადგენილი ხანგრძლივობის დაცვა შენობის დაშლაზე 3 თვის პერიოდში შესალებელია უწყვეტი ფინანსირების პერიოდში.

სამშენებლო მანქანა-მექანიზმების, დანადგარებისა და ინსტრუმენტების ჩამონათვალი

№	დასახელება	მარკა	რაოდენ. ცალი
1	2	3	4
1	თვითმცლელი ძარიანი და სპეც-დანიშნულების ავტოტრანსპორტი სამშენებლო ტვირთის გადასატანად	სხვადასხვა	1
2	გადასატანი კომპრესორი	სო-48	1
3	ელექტროშესადუღებელი საჭრელი აგრეგატი	კომპ.	2
4	ავტოკენური შედუღების და ჭრის აპარატი	კომპ. პკუ-35	2
5	სახურავის ფურცლის გასაწმენდი დანადგარი		1
6	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა.	-	1
7	ლითონის სახარაჩო სექციები 100 მ2 ფართობისათვის	კომპ.	2
8			

მომუშავეთა შორის უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა შენობათა დაშლის ცალკეულ ეტაპებზე აუცილებელია სნ და წ III-4-80* "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე" და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისობით. მათგან ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგზე:

13.1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

13.2 ელექტროუსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახელმწიფოსტამდარტში 12.013-88 ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექრტოსადენები და ელექტრომოწყობილობები კი იზოლირებულ. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

13.3 ამწეების მუშაობის პერიობში დაუშვებელია უცხო პირთა, ასევე დაშლის ოპერაციებში დაუსაქმებელ მიშა-მომსახურეთა ყოფნა სამშემებლო გენგეგმაზე შემოფარგლული ამწეთა მოქმედების სახიფათო ზონის ფარგლებში. ასეთი ზონები სცილდება შემოღობილი ტერიტორიის ფარგლებსაც, რის გამოც აუცილებელია შემზღუდავი ღონისძიებების განხორციელება: იკრძალება ისრის ტრიალი დასაშლელი შენობის გარეთ; ამლილი კონსტრუქციის ჩამოშვება უნდა განხორციელდეს შენობის ვერტიკალის გასწვრივ მათი ავტოსატრანსპორტო საშუალებებში პირდაპირი ცატვირთვით; კონსტრუქციიდან მარყუჟების ჩახსნაზე გამოყოფილი მუშები შორიდან ხემძღვანელობენ ჩამოშვების პროცესს; შემდეგ უახლოვდებიან მანქანებს და ასრულებენ მათ მანქანებში ჩატვირთვას უსაფრთხოების წესების დაცვითა და მარყუჟების შეხსნით.

იკრძალება ამწის ისარზე ჩამოკიდებული ტვირთით ისრის შემობრუნება მოედნისა და ქუჩის მხარეს, ცხადია ისრის ტრიალიც ღერძის გარშემო.

აუცილებელია დროებით ღობეებზე გაიკრას ამწის მოქმედების სახოფათო ზონების აღნიშნული ფორნიშები ღობის გარეთა რადიუსების მითითებებით მეტრებში. ღამის პერიოდებში უსაფრთხოების ზონის აღმნიშვნელი ფირნიშები აუცილებელია განათდეს.

სამიშაოთა უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის, აგრეთვე შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფად აუცილებელია მშენებლობის სხრილში

მოცემული და ჩვენს მიერ რეკომენდირებული მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ-სამარჯვეებით აღჭურვა. ცხადია შესაძლებელია მათი შეცვლაც უფრო თანამედროვეთი.

. დაშლით ოპერაციებში დასაქმებული მუშაკები დაცული უნდა იყვნენ თავის დამცავი ჩაფხუტებით (კასკებით).

. დაუშვებელია მანქანების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში ზედამხედველობის გარეშე. ცხადია მათი ტექნიკური მომსახურეობაც უნდა მოხდეს ძრავის გამორთვის შემდეგ.

. ლითონის ელემენტების ჩაჭრას ელექტრო ან აეროვანი აპარატებით ქვედა იარუსებზე 5 მეტრის რადიუსში ფართობები უნდა გავანთავისუფლოთ წვადი მასალებისაგან, ხოლო 10 მეტრის რადიოსში ასაფეთქებელი (მაგალითად ჟანგბადის ბალონები) მასალებისაგან.

. დასაშლელ სამუშაოებზე დასაქმებულია ყველა მუშაკმა (როგორც მუშამ, ასევე მოსამსახურემ) უნდა შეისწავლოს შრომის უსაფრთხოების წესებს, ასევე მოსამსახურემ) უნდა შეისწავლოს შრომის უსაფრთხოების წესები, გაიაროს ინსტრუქტაჟი, ჩააბაროს გამოცდა სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერების დაფიქსირებით.

ბუნების დაცვითი და ჰაერის დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები

შენობა მდებარეობს ქალაქ თბილისის ცენტრში სელიტებურ განაშენიანებაში. აღნიშნულის გამო აუცილებელია შენობათა დაშლის პერიოდში შემდეგი ღონისძიებების დაცვა.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა, ამოძირკვა ან განადგურება.

კედლების, ტიხრების, იატაკის დაშლის პროცესში მოსალოდნელია მტვრის გაფანტვა გარე სივრცეში, რის გამოც შენობას უნდა ჩამოეფაროს ფარდა ანდა სამუშაოები განხოციელდეს დახურულ სივრცეში ვენტილაციის მოწყობით.

იკრძალება სამშენებლო ნაგვისა და ნარჩენების ღია წესით ჩამოყრა. სასურველია სამშენებლო ნაგვის პირდაპირ თვითმცლელი მანქანების ძარებში ჩაყრა. დიდი ზომის სამშენებლო ნარჩენები ან მოხსნილი ნაკეთობები უნდა ჩამოვუშვათ ამწის საშუალებით. აქაც სასურველია მაშინვე მოხდეს მათი ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვა და ნაგავსაყრელზე ან დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე ტრანსპორტირება.

დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭების დანაგვიანება სამშენებლო ნარცენებით.

ასევე დაუშვებელია ამოსახაპი ორმოების მოწყობა. ინვენტარული საყოფაცხოვრებო ვაგონეტიდან საკანალიზაციო ჩადინება უნდა მოეწყოს უშუალოდ საქალაქო საკანალიზაციო წებში. გენგეგმაზე მათ მოსაწყობად

მითითებული ადგილები შესაძლებელია შეიცვალოს საკანალიზაციო წების სიახლოვეს მათი განთავსებით ამწეტა მოქმედების სახიფათო ზონების საზღვრების გათვალისწინებით. სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება

ფხვიერ მდგომარეობაში რეკომენდირებული არ არის. ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვის შემდეგ მათი ზედაპირი დაინამოს.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.10.13.026.027**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892017006652 - 24/10/2017 11:34:19

მომზადების თარიღი
24/10/2017 13:06:11

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	საბურთალო		
01	**10**	**13**	**026/027**

მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი პეკინი , N 15-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , პეკინის ქუჩა N15

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 352.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **01.10.13.026.025; 01.10.13.026.023;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობა N1

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892017001993 , თარიღი 23/10/2017 13:23:15
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/10/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულება N2017100463348 , დამოწმების თარიღი:23/10/2017 ,სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:03/12/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:18/11/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

მესაკუთრეები:
შპს "ჯიო" , ID ნომერი:204951819

მესაკუთრე:
შპს "ჯიო"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.10.13.026.027**

განცხადების ნომერი: **892017006652**

მომზადების თარიღი: **24/10/2017**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**

ფართობი: **352 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



05/25 მშენებარე ნაგებობა

05/25 შენობა/ნაგებობა

ტყის ფონდი

ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

ხაზობრივი ნაგებობა

ვალდებულება

დემონტაჟის კალენდარული გრაფიკი





NEW POINT

შპს „ნიუ პოინტ“ თბილისი, მგალობლიშვილის ქუჩა 3
Ltd „New point“ mgaloblishvili 3 st. Tbilisi, Georgia, 0160
(+99532) 2945808; 557 704433,
www.newpoint.ge info@newpoint.ge

ექსპერტიზის

ტექნიკურ-ეკონომიკური
მარჯენებლები

შენიშვნები

მისამართი	ქ.თბილისი ჰეკინის ბამზირი #15 ს/კ 01.10.13.026.027
პროექტის დასახელება	დეპონენტების პროექტი
დამკვეთი	შპს "ჯიო" ს/კ 204951819

ნახაზი

ბენგებმა

დირექტორი		ბ.ჯიჰაიტაძე
არქიტექტორი		ზ.თედიაშვილი
თარიღი	02/09/2016	ფურცელი A-3
მასშტაბი	1:100	



შპს „ნიუ პოინტ“ თბილისი, მგალობლიშვილის ქუჩა 3
Ltd „New point“ mgaloblishvili 3 st. Tbilisi, Georgia, 0160
(+99532) 2945808; 557 704433,
www.newpoint.ge info@newpoint.ge

ექსპლიკაცია

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

შენიშვნები

მისამართი	ქ.თბილისი პეკინის გამზირი #15 ს/კ 01.10.13.026.027
პროექტის დასახელება	დემონტაჟის პროექტი
დამკვეთი	შპს "ჯიო" ს/კ 204951819

ნახაზი

სადემონტაჟო ნაგებობის გეგმა

დირექტორი		ბ.კირკიტაძე
არქიტექტორი		ზ.თედიაშვილი
თარიღი	02/09/2016	ფურცელი A-3
მასშტაბი	1:100	



ფასადი 5-1 ღერძებში
ფასადი 3-3



ფასადი 1-5 ღერძებში
ფასადი 1-1



ფასადი დ-ა ღერძებში
ფასადი 2-2



ფასადი ა-დ ღერძებში
ფასადი 4-4

NEW POINT

შპს „ნიუ პოინტ“ თბილისი, მგალობლიშვილის ქუჩა 3
Ltd „New point“ mgaloblishvili 3 st. Tbilisi, Georgia, 0160
(+99532) 2945808; 557 704433,
www.newpoint.ge info@newpoint.ge

ექსპლიკაცია

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

შენიშვნები

მისამართი	ქ.თბილისი პეკინის გამზირი #15 ს/კ 01.10.13.026.027
პროექტის დასახელება	დემონტაჟის პროექტი
დამკვეთი	შპს "ჯიო" ს/კ 204951819
ნახაზი	ფასადი 1-1 ფასადი 2-2 ფასადი 3-3 ფასადი 4-4

დირექტორი	[signature]	ბ.კირკიტაძე	
არქიტექტორი	[signature]	ზ.თედიაშვილი	
თარიღი	02/09/2016	ფურცელი	A-3
მასშტაბი	1:100		



ჭრილი 1 - 1

NEW POINT
შპს „ნიუ პოინტ“ თბილისი, მგალობლიშვილის ქუჩა 3
Ltd „New point“ mgaloblishvili 3 st. Tbilisi, Georgia, 0160
(+99532) 2945808; 557 704433,
www.newpoint.ge info@newpoint.ge

ექსპლიკაცია

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

შენიშვნები

მისამართი	ქ.თბილისი პეკინის გამზირი #15 ს/კ 01.10.13.026.027
პროექტის დასახელება	დემონტაჟის პროექტი
დამკვეთი	შპს "ჯიო" ს/კ 204951819

ნახაზი

ჭრილი 1-1

დირექტორი	[signature]	ბ.კირკიტაძე
არქიტექტორი	[signature]	ზ.თედიაშვილი

თარიღი	02/09/2016	ფურცელი	A-4
მასშტაბი	1:100		









NEW POINT

შპს „ნიუ პოინტ“ თბილისი, მგალობლიშვილის ქუჩა 3
Ltd „New point“ mgaloblishvili 3 st. Tbilisi, Georgia, 0160
(+99532) 2945808; 557 704433,
www.newpoint.ge info@newpoint.ge

ექსპერტიზასთვის

ტექნიკურ-ეკონომიკური
მარჯვნებები

შენიშვნები

მისამართი	ქ.თბილისი ჰეკინის ბამზიარი #15 ს/კ 01.10.13.026.027
პროექტის დასახელება	დეპონტაჟის პროექტი
დამკვეთი	შპს "ჯიო" ს/კ 204951819

ნახაზი

პასპორტი სიტუაციის
ამსახველი ფოტომასალა

დიზაინერი		ბ.პიპიტაძე
პროექტორი		ზ.თედიაშვილი
თარიღი	02/09/2016	ფორმატი A-3
მასშტაბი	1:100	